სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

შეფასების შედეგები

ევროპეისტიკის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრი

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი #2. 21 მაისი, 2024 წ.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები (კომპონენტები)	**სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები**	
პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
პატენტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები)		
გომართელი ნინო ნაპოლეონის ეპოქის მეწარმე ქალი. ჟურნალი "განათლება", N1 (40), თბ., 2023, გვ. 145-149. ISSN 2346-8300.	დღეს საზოგადოება საქმიანი ქალების ნაკლებობას არ განიცდის. დღეს აღარავის უკვირს კომპანიის სათავეში მდგარი სუსტი სქესის წარმომადგენელი, მაგრამ დაახლოებით 250 წლის წინათ ასეთი რამ არათუ წარმოუდგენელი, არამედ შეურაცხმყოფელიც კი იყო გარშემომყოფებისათვის, მით უფრო, თუ საქმე წმინდა მამაკაცურ საქმიანობას - მეღვინეობას ეხებოდა.ნაპოლეონის დროინდელ საფრანგეთში გაბატონე-ბული იყო შეხედულება „საკმარისია ქალი ღვინოს მიაკარო და ის ძმრად გადაიქცევაო". ვის ეყოფოდა გამბედაობა მის დასარღვევად, თუმცა ერთმა ახალგაზრდა ქალმა არამცთუ დაარღვია არსებული სტერეოტიპი , არამედ კიდევ უფრო მეტად მოუხვეჭა სახელი მეღვინეობით ცნობილ ფრანგებს. ეს არაორდინალური მანდილოსანი, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია არსებულ ტრადიციას, გადადგა მეტად გაბედული	

	ნაბიჯი და გახდა მეუღლის, კლიკოს გვარით სახელგანთქმული Veuve Clicquot-ის სულის ჩამდგმელი. 1972 წ. ფირმის შექმნის 200 წლისთავთან დაკავშირებით, საფუძველი ჩაეყარა საქველმოქმედო ფონდს, რომელიც აჯილდოებს ბიზნესის ნებისმიერ სფეროში მოღვაწე წარმატებულ, მოტივირებულ ქალებს მსოფლიოს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ეს მათთვის ნიშნავს პლატფორმას შემდგომი წინსვლისთვის, კონტაქტების დამყარებას საერთაშორისო ბაზრის წარმომადგენლებთან, მედიასთან, პოლიტიკოსებთან, პოტენციურ თანამშრომლებთან. ქალაქ რეიმსში ყოველწლიურად, აპრილის თვის ბოლო შაბათ-კვირას იმართება საერთაშორისო ვორკშოპი, სადაც ყოფილი პრიზიორები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ქართველი მეღვინეები დიდ წარმატებებს აღწევენ ფრანგული ნატურალური ღვინის გამოფენებზე. ქართველი მეღვინეები სისტემატურად ესწრებიან ფრანგული ღვინის „ბოჟოლე ნუვოს“ წითელი ღვინის ფესტივალს, რომელიც ნოემბრის თვის მესამე ხუთშაბათს ყოველწლიურად იმართება 2005 წლიდან. „ბოჟოლე ნუვოს“ ღვინო წარმატებით იყიდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წელიწადში 69 მილიონი ბოთლის ოდენობით. ფრანგული ორდენის „ღვინის რაინდები“ ხშირად სტუმრობენ კახეთის რეგიონს და კახეთის მეღვინეთა გილდიის წევრებად ერთიანდებიან. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართულ-ფრანგული ღვინის ტექნოლოგიების სამეცნიერო სასწავლო-კვლევითი ცენტრის კომპლექსი მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოვთქვამთ სურვილს, რომ ქართველ მეწარმე ქალებსაც მიეცეს ამ კონკურსში მონაწილეობის საშუალება, სცადონ ბედი, დაიმსახურონ „Veuve Clicquot” ჯილდო და დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი მსოფლიოს ბაზარზე.
	შეფასება | დადებითი
	რეკომენდაციები
გომართელი ნინო თავისუფლება-სულიერების მტკიცე საყრდენი, იხ.: ჟ. “მოამბე”, ISSN 2233-3606, თბ., 2023, XLVIII	საქართველო მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მარტო იყო, გარშემორტყმული ძლიერი და დიდი იმპერიებით, რომლებიც თავიანთი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ. ჩვენი ქვეყანა კი იბრძოდა არსებობისათვის დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისათვის... ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, ჩვენი განვლილი გზა განსაკუთრებული იყო, ძალზე რთული, ერთი მუჭა ხალხისა და ერთი ბეწო მიწისათვის. ხშირად იტყვიან ჩვენში, „ღმერთმა დალოცვილი და რჩეული მიწა გვიწყალობა“-ო, მაგრამ ამ დალოცვილ მიწას ბევრი მოცილე და მოძალადეც მოჰყვა.

	საქართველო მუდამ იბრძოდა რათა გზა გაეჭრა თავისუფალი სამყაროსაკენ, ვიბრძოდით და გადავრჩით...! 1992 27 აპრილს ჩვენ პირველად შევაღეთ ევროპის კარი, რითაც დაიწყო ჩვენი დიდი ევროპული თავგადასავალი. დღეს, გვეძლევა საშუალება გავხდეთ დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ევროინტეგრაციას, ალტერნატივა არა აქვს, ჩვენ გვინდა ევროპა.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
გომართელი ნინო ევროინტეგრაცია და თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, იხ.: ჟ. „განათლება“. ISSN 2346-8300, N2 (4), 2023	საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, ეფექტიანი და პროაქტიური დიპლომატიაა. დღეს, ქართული დიპლომატია მრავალი ამოცანის წინაშე დგას. ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მთავარ ორიენტირად განვიხილავთ, რომელიც ჩვენი საზოგადოების თავისუფალი, ერთსულოვანი და ურყევი არჩევანია. საქართველომ დიდი ხნის წინ აირჩია განვითარების ევროპული გზა, გზა რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლების აზრით ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოს აქვს ამბიცია იყოს ევროპული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი და ამ მიზნის მისაღწევად ახორციელებს ყველა რეფორმას. რეფორმების შედეგად იცვლება ქვეყანა და საჭიროა აღნიშნული კოპლექსური ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და გაგრძელდეს.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
კიკნაძე თამარ „სიტყვა, წარმოთქმული საქართველო-აზერბაიჯანის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის ღონისძიებაზე“, ქართული სასამართლო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება, 2023, ISBN-978-9941-34-220-2, გვ. 279-285	სამ ათეულ წელზე მეტია აზერბაიჯანსა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს, რომელმაც მთელი ევრაზიის გეოპოლიტიკური რუკა ჩამოქნა. ამ ქვეყნების ურთიერთობები არ არის მხოლოდ გეოგრაფიულ სიახლოვესთან დაკავშირებული. წლების განმავლობაში ორივე ერთი და იმავე სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა და ერთი და იმავე პოლიტიკურ-იდეოლოგიური სისტემის ნაწილი იყო. მათ მსგავსი პროცესებით მოიპოვეს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან ერთად ჰქონდათ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. მაგრამ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ისინი არ არიან ცნობილი, როგორც დაძაბულობისკენ მიდრეკილი ქვეყნები. პირიქით, მათ სურდათ ითანამშრომლონ და წვლილი შეიტანონ რეგიონულ და საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლაში.
	შეფასება: დადებითი

	რეკომენდაციები
გარაყანიძე ნატა „უკრაინის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ“, სტუ-ს სამეცნიერო ჟურ., „განათ-ლება“, № 2(41), 2023, თბ., გვ. 82-89. ISSN 2346-8300 DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300	ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს უკრაინის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის ფონზე. ამ მიზნით უკრაინა განხილულია როგორც აღმოსავლეთ ევროპის და ე.წ. „ჰარტლენდის“, „შუაგული მიწების“ (ევრზიის ცენტრალური ნაწილი) მთავარი ნაწილი, რომელიც, ჰელფორდ ჯონ მაკინდერის ცნობილი თეორიის მიხედვით, კონტინენტური ძალების კონცენტრაციის მთავარი წყაროა. ამ ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვება, საბოლოოდ შეიძლება ნიშნავდეს მსოფლიოს ძირითადი ტერიტორიების მართვისკენ გზის გაკვალვას. კერძოდ, ის, ვინც მოახერხებს აღმოსავლეთ ევროპის დამორჩილებას, შეძლებს „ჰარტლენდზე“ ბატონობას, ხოლო „ჰარტლენდის“ კონტროლი, თავის მხრივ, ნიშნავს მსოფლიო კუნძულზე (ევრაზია, აფრიკა) დომინირებას, ეს უკანასკნელი კი მთლიან მსოფლიოზე ბატონობის წინა-პირობაა. ზემოთ ხსენებული ლოგიკის თანახმად, დღეისათვის უკრაინის ტერიტორია განსაკუთრებით საინტერესოა ნებისმიერი „დიდი ძალისთვის“ (Great Power), მათ შორის, პირველ რიგში, უახლოესი მეზობელი რუსეთისთვის, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს არა მხოლოდ მინიმუმი დანიშნულების შესრულებით - თვითგადარჩენით და სუვერენიტეტის შენარ-ჩუნებით, არამედ ძალის მაქსიმიზაციითა და სხვა სახელ-მწიფოებზე დომინირებით, რაც ხშირად სამხედრო ძალის გამოყენებასაც გულისხმობს. ამდენად, გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი უკრაინის „დამორჩილება“ რუსეთისთვის ერთგვარი მნიშვნელოვანი გამოცდაა როგორც „დიდი ძალის“/ზესახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრების მხრივ. ასეთივე დანიშნულება აქვს უკრაინას დასავლეთისთვის, განსაკუთრებით აშშ-სთვის, რომლისთვისაც უკრაინის რუსეთისთვის „დათმობა“ შეიძლება „დიდი ძალის“ სტატუსის დაკარგვას უდრიდეს, განსაკუთრებით ავღანეთსა და სირიაში განცდილი მარცხის შემდეგ. საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, რუსეთი, აშშ, უკრაინა, საგარეო პოლიტიკა. შეფასება: დადებითი რეკომენდაციები
ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში	
გარაყანიძე ზურაბ, გარაყანიძე ნატა შავი ზღვის რეგიონში გაზის ჰაბის ჩამო-ყალიბების შესაძლებლობები“, „გეოპოლი-ტიკა- ჟურნალი პოლიტიკური გეოგრაფიის, გეოპოლიტიკის და გეოსტრატეგიის შესახებ“ ISSN: 1583-543X, http://www.geopolitic.ro; გამომცემელი: Asociatia de Geopolitica Ion Conea,Top Form Publishing House, Editura , რუმინეთი	ევროკავშირს ბუნებრივი აირი მიეწოდება ოთხი აქტიური დერეფნით: პირველი არის ე.წ. ჩრდილოეთ ზღვის მარშრუტი (ნიდერლანდები, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი), მეორე - ჩრდილოეთ აფრიკის დერეფანი ტუნისისა და ალჟირის სამი წყალქვეშა გაზსადენით; მესამე მოიცავს გაზსადენებს რუსეთიდან ბელორუსში, ბალკანეთში, უკრაინასა და თურქეთში; მეოთხე ფორმირებულია მილსადენებით, რომლებიც აკავშირებს ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს სამხრეთ კავკასიის, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის ტერიტორიებთან. თურქეთის მნიშვნელობა უკვე აშკარად ჩანს ამ მარშრუტებში - ეს ქვეყანა არის მთავარი

	დამაკავშირებელი წერტილი როგორც მესამე, ასევე მეოთხე გაზის დერეფნებში. ზემოთხსენებულმა მილსადენებმა ხელი შეუწყო ანკარის, როგორც მნიშვნელოვანი პოტენციური რეგიონული მოთამაშის, როლის ზრდას. უფრო მეტიც, თურქეთის მთავრობის ამჟამინდელი ამბიცია არის იყოს არა მხოლოდ გაზის სატრანზიტო ქვეყანა, არამედ გახდეს რეგიონალური გაზის ჰაბი. ეს უკანასკნელი გულისხმობს გაზის შენახვისა და განაწილების, საბითუმო და ადგილზე ვაჭრობის ერთობლიობას და, რაც მთავარია, რეგიონული ფასის დამდგენის ფუნქციას. ცენტრალურ ევროპაში ამ ფუნქციას ასრულებს ავსტრიის დედაქალაქ ვენასთან ახლოს მდებარე ჰაბი - ბაუმგარტენი. თურქეთის პრეზიდენტი რ. ერდოღანი დიდი ხანია გეგმავს, რომ თურქეთი გახდეს არა მხოლოდ გაზის სატრანზიტო გზა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის, არამედ ე.წ. ჰაბი. სტატია ცდილობს ახსნას, თუ რამდენად რეალურია თურქეთის გეგმები და რა ობიექტური და სუბიექტური დაბრკოლებებია დაკავშირებული მათთან. ერთ-ერთი წინააღმდეგობა სამხრეთ კავკასიას ეხება. ამდენად, ეს თემა განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსთვისაც.
	შეფასება | დადებითი
	რეკომენდაციები
კიკნაძე თამარ, მანჯავიძე იოსებ „მინგის დინასტიის პარადოქსი – ზღვის ძალაუფლების მიტოვების შედეგი“. ბიზნეს დიპლომატიის და ეკონომიკის საერთაშორისო ჟურნალი, ტ. 2, No 8 (2023), IJBDE-ISSN 2833-7468 https://inter-publishing.com/index.php/ijbde	სტატიაში განხილულია ბრიტანეთის საზღვაო იმპერიად ჩამოყალიბების მიზეზები, შევეცადეთ ნათელი გაგვეხადა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საზღვაო ცივილიზაციის ურთიერმიმართებები, ამასთან დაკავშირებით გავლებულია პარალელი ჩინეთში, ერთის მხრივ, მინის დინასტიის პირველი იმპერატორის ჯუ-დის მიერ შექმნილი ,,ოქროს ფლოტის'' განადგურებასა და ჩინეთის სახელმწიფოს დეგრადაციას და, მეორეს მხრივ, ბრიტანეთის აღზევებას შორის სწორედ საზღვაო ცივილიზაციად ჩამოყალიბების წყალობით.
	შეფასება | დადებითი
	რეკომენდაციები
კიკნაძე თამარ, ოთხოზორია ვალერი „ქართული პარლამენტარიზმის კვლევის ეპისტემოლოგია“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი თეორიული და გამოყენებითი მეცნიერება, ტომი: 123 (2023), 2023, ISSN 2833-7468 (USA), http//T-Science.org	სტატია ეხება პარლამენტარიზმის კვლევის ახალ მეთოდოლოგიას და კერძოდ ქართული პარლამენტარიზმის კვლევას ეპისტემოლოგიური მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია ეგრეთ წოდებული ახალი დემოკრატიების შესასწავლად, ვინაიდან სტრუქტურალისტური მეთოდი არ იძლევა შინაარსის სიღრმისეულ ანალიზს. მას არ შეუძლია ახსნას კონტექსტი, ფარული ფენები და ქვედინები, რომლებიც წარმოშობს და წარმოადგენს ცოდნის წყაროს პოლიტიკური პროცესებისთვის, ამ შემთხვევაში - ქართული პარლამენტარიზმისთვის. სტატიაში შემოთავაზებული მეთოდი არის მიშელ ფუკოს „ცოდნის არქეოლოგიის“ პოლიტიკისა და ქართული პარლამენტარიზმის ადაპტირებული ვერსია, რომელსაც ავსებს

	დერიდას დეკონსტრუქციის ერთი ასპექტი (ფუკოს „სიგიჟის ისტორიის“ კრიტიკის ნაწილში) და კონცეფცია. "კონცეპტუალური პერსონაჟი" შემუშავებული ჟილ დელეუზისა და ფელიქს გიტარის მიერ. სტატია გვიჩვენებს ახალი ეპისტემოლოგიური კვლევის უტილიტარულ ღირებულებას პოლიტიკის (და ქართული პარლამენტარიზმის) სფეროში კონკრეტული შემთხვევის ანალიზით.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)	
გომართელი ნინო ტოლერანტობა და სულიერება, იხ.: ქართული ტოლერანტობა გუშინ და დღეს, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, თბ., 2023 (სერტიფიკატი)	საქართველო მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მარტო იყო, გარშემორტყმული ძლიერი და დიდი იმპერიებით, რომლებიც თავიანთი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ. ჩვენი ქვეყანა კი იბრძოდა არსებობისათვის დამოუკიდებ-ლობისათვის, თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისათვის... ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, ჩვენი განვლილი გზა განსაკუთ-რებული იყო, ძალზე რთული, ერთი მუჭა ხალხისა და ერთი ბეწო მიწისათვის. ხშირად იტყვიან ჩვენში, „ღმერთმა დალოცვილი და რჩეული მიწა გვიწყალობა“-ო, მაგრამ ამ დალოცვილ მიწას ბევრი მოცილე და მოძალადეც მოჰყვა. საქართველო მუდამ იბრძოდა რათა გზა გაეჭრა თავისუფალი სამყაროსაკენ, ვიბრძოდით და გადავრჩით...! 1992 27 აპრილს ჩვენ პირველად შევაღეთ ევროპის კარი, რითაც დაიწყო ჩვენი დიდი ევროპული თავგადასავალი. დღეს, გვეძლევა საშუალება გავხდეთ დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ევროინტეგრაციას, ალტერნატივა არა აქვს, ჩვენ გვინდა ევროპა.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
გომართელი ნინო თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური საკითხები იხ.: საქართველო და ევროპა მე4 საერთაშორისო კონფერენცია 9-10 ნოემბერი თბ., 2023 (სერტიფიკატი)	საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, ეფექტიანი და პროაქტიური დიპლომატიაა. დღეს, ქართული დიპლომატია მრავალი ამოცანის წინაშე დგას. ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მთავარ ორიენტირად განვიხილავთ, რომელიც ჩვენი საზოგადოების თავისუფალი, ერთსულოვანი და ურყევი არჩევანია. საქართველომ დიდი ხნის წინ აირჩია განვითარების ევროპული გზა, გზა რომელსაც საქართველოს მოსახლეობის

	უდიდესი უმრავლების აზრით ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოს აქვს ამბიცია იყოს ევროპული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი და ამ მიზნის მისაღწევად ახორციელებს ყველა რეფორმას. რეფორმების შედეგად იცვლება ქვეყანა და საჭიროა აღნიშნული კოპლექსური ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და გაგრძელდეს.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
კიკნაძე თამარ „რელიგიის პოლიტიკური განზომილება“, საერთაშორისო კონგრესი სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე დებატებზე (CUDES), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2023, 11 ოქტომბერი.	მთელი სოციალური სისტემის, მისი სხვადასხვა სფეროს, მათ შორის პოლიტიკის, რელიგიის გავლენის შეგრძნება მათზე საპირისპირო გავლენას ახდენს. იგი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას: მსოფლმხედველობის, კომპენსატორული, მარეგულირებელი, ინტეგრირება-დაშლა, ლეგიტიმაცია - დელეგიტიმირება და ა.შ. ადგენს შემზღუდველ კრიტერიუმებს, აბსოლუტურებს, რისი გადმოსახედიდანაც გაიგება ადამიანი, საზოგადოება; ქმნის სამყაროს სურათს; განსაზღვრავს მიზნების დასახვასა და აზრობრივ დასახვას; ანაზღაურებს ადამიანის არსებობის შეზღუდვებს, დამოკიდებულებას, ფარდობითობას, ეფემერულობას, არასრულფასოვნებას. რელიგიური სამართლის ნორმების დახმარებით კონტროლდება მორალი, მრავალი მისაბაძი მაგალითი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ინსტიტუტები, ცალკეული ჯგუფების, თემების საქმიანობა, ცნობიერება და ქცევა. რელიგიური სფერო ლიბერალური დემოკრატიის საზღვრების შესამოწმებლად ერთგვარ საფუძველად იქცა. ამ პროცესმა გამოავლინა ამ იდეოლოგიის უარყოფითი თვისებები, აიძულა ზოგი უარყო ზოგადად თანამედროვე დემოკრატია, ზოგი კი ეთქვა ლიბერალური დემოკრატიული პრინციპების გამოსწორების აუცილებლობაზე. რელიგია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთის მხრივ, როგორც ტრადიციული ძალა მხარს უჭერდა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და მის დემოკრატიულ ტრანზიტს, მეორე მხრივ, როგორც ტრადიციული ძალა, კონფლიქტში მოვიდა პოლიტკორექტულობის იდეის აგრესიულ პროპაგანდასთან და „დიქტატურასთან“. უმცირესობათა“ ლიბერალური დემოკრატიის ანტიიდენტურ ვერსიაში დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში. რელიგიის ამჟამინდელი გავლენის უნიკალურობა პოლიტიკაზე მდგომარეობს იმაში, რომ იგი აჩვენებს ლიბერალური დემოკრატიის ჭეშმარიტებისა და საფუძვლების არარსებობას, უფლებებისა და თავისუფლებების დამახინჯებას უნივერსალურობის სურვილის შედეგად (რასაც თავად რელიგია ითხოვდა წინა საუკუნეებში.). სწორედ ამიტომ, რელიგიური

	თემის ბრძოლა ტრადიციების შესანარჩუნებლად, ან „მორალური დემოკრატიის“ დამყარების მცდელობები იწვევს ყველაზე ემოციურ რეაქციას ლიბერალური წყობის წარმომადგენლებს შორის. საჯაროდ, ეს აშკარად გამოხატულია ანტირელიგიურ აქტივიზმში და ხელოვნების პროექტებში. დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან საკმარისად ნათლად აღნიშნა საზღვრები, რომელთა მიღმაც არ უნდა გადალახოს მომავალი დემოკრატიები: კერძოდ, ეს აღიარება ტრადიციული მორალური პრინციპების უფლების მთელი საზოგადოებებისა და სახელმწიფოებისთვის, რელიგიისა და რელიგიური სიმბოლოების აღიარება. ასევე კულტურა და იდენტობა.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ჩაფიჩაძე ხათუნა „უკრაინის ომის შედეგები სამხრეთ კავკასიისთვის“; 10 ნოემბერი, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისა და ევროკავკასიური თანამშრომლობის ასოციაციის მიერ მხარდაჭერილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია-ევროპა-ამერიკა“	მოხსენება ეხებოდა უკრაინაში მიმდინარე ომით გამოწვეული სხვადასხვა უდავო საფრთხეების, ასევე, ამავდროულად, გაფართოებული ევროპული რეგიონისთვის წარმოშობილი შესაძლებლობების ანალიზს - სამხრეთ კავკასიაზე აქცენტით, - მისი გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე. მოხსენების მიზანს წარმოადგენდა რეგიონის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე მდგარი მულტივექტორული უსაფრთხოების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, დემოგრაფიული და ა.შ საფრთხეების განხილვა, კონკრეტულად კი საქართველოსა და სომხეთის შემთხვევების, თუმცა არამხოლოდ, ანალიზი.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ჩაფიჩაძე ხათუნა „საქართველოს „ახალი“ გეოპოლიტიკური პარადიგმა?“ 7-8 ოქტომბერი, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი"	მოხსენება შეეხებოდა საქართველოს მიერ ისტორიულად აპრობირებული დაბალანსების პოლიტიკის ერთგვარი აქტუალიზაციის საკამათო პრობლემას - ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებთან სულ მცირე, დეკლარირებულ შესაბამისობაში, - რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის პირობებში დამდგარი ახალი გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით. შევეცადეთ გაგვერკვია - დღევანდელი, ე.წ. ახალი გეოპოლიტიკური პარადიგმის რელევანტურობა და რამდენად ემსახურება ის რეგიონული თუ გლობალური მოთამაშეების როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების დაჯახების ფონზე, - პატარა ერის თვითგადარჩენის ამოცანებს, თუ განპირობებული და გამყარებულია სხვა, - ძირითადად, საქართველოს საშინაო პოლიტიკური ანატომიით და განსაკუთრებით, თუმცა არამხოლოდ, პარტიული პოლარიზაციის ფაქტორებით.	
	შეფასება	დადებითი

	რეკომენდაციები
ჩაფიჩაძე ხათუნა „ტრამპი - ამერიკული დემოკრატიის გამოწვევა?“ 18-20 მაისი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ); თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებული ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია (მიეძღვნა 1783 წლის პარიზის ზავს და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის ომის დასრულების 240-ე წლისთავს)	მოხსენება ეხებოდა ამერიკული დემოკრატიის წინაშე არსებული შესაძლო გამოწვევის გაანალიზებას, რაც უკავშირდება აშშ-ს 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიმართ წაყენებული ბრალდებისა და სხვა მიმდინარე კრიმინალური გამოძიებების შედეგებს და, რაც მთავარია, პოტენციურ სამართლებრივ-პოლიტიკურ თუ სხვა სახის კრიზისს შეერთებული შტატების 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში; მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ დონალდ ტრამპი საპრეზიდენტო ნომინაციის წამყვანი კანდიდატია. შეფასება: დადებითი რეკომენდაციები
ჩაფიჩაძე ხათუნა "ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის - რატომ განსხვავებული გზა უკრაინისა და მოლდოვისგან?" 9-10 ნოემბერი, კლუჟ-ნაპოკა, რუმინეთი; EUXGLOB III საერთაშორისო კონფერენცია: ევროკავშირის აღმოსავლეთის სამეზობლო პერსპექტივები; ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი კლუჟი, ევროპული კვლევების ფაკულტეტი, EUXGLOB ცენტრი ICDE-სთან პარტნიორობით	მოხსენება ეხებოდა საქართველოსთვის ევროკავშირის 2022 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების ფუნქციონალური მიზეზების გარკვევას ე.წ. ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების პერსპექტივის, ანუ ევროპული პერსპექტივის კუთხით, რომელიც განსხვავდებოდა უკრაინისა და მოლდოვასთვის მინიჭებული კანდიდატი ქვეყნის სტატუსისგან. შეფასება: დადებითი რეკომენდაციები
ჩაფიჩაძე ხათუნა „ქართული საზოგადოების მენტალური კომპოზიცია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე“; 28 ოქტომბერი, ჟეშუვი, პოლონეთი; მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „21-ე საუკუნის კავკასია“; ჟეშუვის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტი, კავკასია – წარსული – აწმყო – მომავალი, ჟეშუვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი, კავკასია – ჟეშუვის უნივერსიტეტის სტუდენტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო წრე	მოხსენება მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების ღირებულებითი სისტემის რთული შემადგენლობის ანალიზს, რომელსაც ჯერ კიდევ ატყვია საბჭოთა წარსულის გადამწყვეტი გავლენის კვალი. სამოქალაქო განხეთქილებათა შორის ყველაზე აქტუალური და სენსიტიური, როგორც ჩანს, ეფუძნება რადიკალურად განსხვავებულ და კონფლიქტურ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს, ისევე როგორც შიდა მოვლენებთან დაკავშირებით არსებულ ღირებულებით არჩევანებს, რომლებიც საქართველოს საზოგადოების ორი ძირითადი ჯგუფისთვის საკმაოდ მძიმე სოციალური პოლარიზაციის საფუძველია. მოხსენებამ გააანალიზა ღირებულებითი ბრძოლის დინამიკა, რაც უფრო გამოკვეთილი და გამძაფრებულია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის დროს, რომელიც აუცილებლად სცილდება ეთნო-ტერიტორიულ პრეტენზიებს და ცივილიზაციათა შეჯახების ელფერი აქვს. შეფასება: დადებითი

	რეკომენდაციები
ჩაფიჩაძე ხათუნა „სოციალური უსაფრთხოების პარადიგმა პოსტსაბჭოთა საქართველოში“; 27 ოქტომ-ბერი, კიშინაუ, მოლდოვა; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ადამიანი და სოციალური უსაფრთხოება დემოკრატიულ სახელმწიფოში“; მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტი	მოხსენება მიზნად ისახავდა ძირითადად განეხილა პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები; აქცენტი განსაკუთრებით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დაწყებული პერიოდიდან გაკეთდა, როდესაც ადრეული პოსტსაბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი მასიური პოლიტიკური, სამხედრო და სამოქალაქო არეულობა დასრულდა; ასევე ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაცია, ანარქია და ქაოსი. მოკლედ მიმოვიხილეთ პირველ რიგში ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური, შემდეგ კი ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაწყებული მსგავსი შინაარსის პოლიტიკურ აქტები და რეფორმები. ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგები მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ნეოლიბერალური განვითარების პირდაპირ ზემოქმედებად იქნა მიჩნეული. სოციალური დაცვის რეფორმები იქნა გამოკვლეული პოსტ-სააკაშვილის საქართველოში, განსაკუთრებული აქცენტით - სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, ახალ შრომის კოდექსზე და ა.შ. და ბოლოს, ჩვენ შევეცადეთ განგვემარტა, რამდენად ვართ მომსწრე სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ წარმართული რადიკალური ნეოლიბერალური პოლიტიკის ტრანსფორმა-ციისა - სოციალური დაცვის რეფორმებისკენ - სააკაშვილის შემდგომ საქართველოში; ან რამდენად შესაძლებელია ეწოდოს იმას, რასაც ჩვენ ვაკვირდებით - „სოციალური უსაფრთხოების პარადიგმა“, რომელზეც ჯერ კიდევ ახდენს გავლენას, თუ გადამწყვეტად არ განსაზღვრავს, - საბჭოთა გამოცდი-ლება.მოხსენება მიზნად ისახავდა გარკვეული რუსიფიკაციის ახალი ტენდენციების განხილვას, რომლებიც წარმოიშვა და/ან გაძლიერდა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, და გააანალიზა რუსეთის გაზრდილი ემიგრაციის საკმაოდ სტაბილური პროცესი, უპირველეს ყოვლისა, მის უშუალო სამეზობლოში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის საქართველოც, საუკუნეების მანძილზე, პირდაპირ თუ ირიბად, და ირონიულად და პარადოქსულად რუსული იმპერიალიზმის გავლენის ისტორიულ სფეროს ექვემდებარება; ამ დროისთვისაც რუსული ოკუპაციის მსხვერპლია.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
ჩაფიჩაძე ხათუნა „ახალი ნოვოროსიას პროექტი“ - მითი თუ რეალობა? (საქართველოს მაგალითზე)“; 27-	მოხსენება მიზნად ისახავდა გარკვეული რუსიფიკაციის ახალი ტენდენციების განხილვას, რომლებიც წარმოიშვა და/ან გაძლიერდა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, და გააანალიზა

28 ივნისი, ბუქარესტი, რუმინეთი; StrategiesXXI – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2023; კაროლ I ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი	რუსეთის გაზრდილი ემიგრაციის საკმაოდ სტაბილური პროცესი, უპირველეს ყოვლისა, მის უშუალო სამეზობლოში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის საქართველოც, საუკუნეების მანძილზე, პირდაპირ თუ ირიბად, და ირონიულად და პარადოქსულად რუსული იმპერიალიზმის გავლენის ისტორიულ სფეროს ექვემდებარება; ამ დროისთვისაც რუსული ოკუპაციის მსხვერპლია.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ჩაფიჩაძე ხათუნა „რუსეთ-უკრაინის ომი - ვლადიმერ პუტინის თუ რუსეთის პროექტი?“ 15-16 ივნისი, ოსტროვიეც-შვიეტოკშირსკი, პოლონეთი; საერთაშორისო ექსპერტთა კონფერენცია: „რუსეთ-უკრაინის ომი 2022-2023 წწ. წარმოშობა, მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები“; იოზეფ გოლუჰოვსკის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი	მოხსენება ცდილობდა უფრო ღრმად ჩაეხედა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის რთულ განმსაზღვრელ ფაქტორებსა და სხვადასხვა მიზეზებში. მან დასვა შეკითხვა, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი ომი - თამაშის შემცვლელი უფრო ფართო რეგიონული და გლობალური შედეგებით, - პირველ რიგში პირად პროექტად, რუსეთის ავტორიტარული ლიდერის - ვლადიმერ პუტინის თითქმის კერძო მცდელობად, ან იქნებ პასუხი ბევრად რთულია და უკავშირდება ძირითადად გეოპოლიტიკური ხასიათის დეტერმინანტებს?	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ჩაფიჩაძე ხათუნა „სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის გამოწვევები საქართველოში მისი ევროპული პერსპექტივისა და უკრაინაში მიმდინარე ომის წინააღმდეგ“; 15-16 ივნისი, ჟეშუვი, პოლონეთი; ადამიანის უფლებათა IV საერთაშორისო კონგრესი: „უსაფრთხოება - ადამიანის უფლებები - საერთაშორისო ურთიერთობები“; ჟეშუვის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი	მოხსენება ეხებოდა ისეთ ძირითად დაბრკოლებებს, რომლებიც საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების გზაზეა, როგორიც არის ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაზრდილი პრობლემები, რომლებიც აწყდება ფართო სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადასხვა ჯგუფებს და/ან ცალკეულ აქტივისტებს, და მედია-ლანდშაფტის შესამჩნევი გაუარესება ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ჩაფიჩაძე ხათუნა „შესაძლოა თუ არა გლობალიზაციის, როგორც უპირველეს ყოვლისა საბაზრო ეკონომიკის დომინირებისთვის, არსებითი გამოწვევა აღმოჩნდეს მზარდი ეროვნული ავტორიტარიზმი? 29-31 მარტი, კრაკოვი, პოლონეთი; კონფერენცია „სოციალური პასუხისმგებლობა ენტროპოცენის ეპოქაში“; ტიშნერის ევროპული უნივერსიტეტი	მოხსენებაში ფაქტობრივად გაანალიზებულია დემოკრატიის მომავალი, განაგრძობს თუ არა ის ბატონობას, როგორც საბაზრო ეკონომიკისთვის ყველაზე ნაყოფიერი და ამგვარად, სასურველი პოლიტიკური რეჟიმი.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი		
	ანალიზი	

	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
საექსპერტო მოღვაწეობა		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	

სამეცნიერო ერთეულში დასაქმებულ მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი ციტირების ინდექსის საფუძველზე (ნოემბერი, 2023)

#	გვარი, სახელი	Scopus		Web of Science		Google Scholar		სხვა	
		ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი	ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი	ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი	ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი
1	პროფ. კიკნაძე თამარ	0	0			8	1		
2	ასოც. პროფ. ჩაფიჩაძე ხათუნა	0	0			15	3		
3	ასოც. პროფ. გომართელი ნინო	0	0			0	0		
4	ასის. პროფ. ცეცხლაძე კახა	0	0			0	0		
5	ასის. პროფ. გარაყანიძე ნატა	0	0			1	1		

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი

დარგობრივი კომისიის მდივანი, პროფესორი გ. ჯოლია